

ეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლეები

1. პროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები, მომსახურების მოცულობა და ბიუჯეტი

“საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9595,7 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის მიხედვით:

კომპონენტი	მომსახურების მოცულობა	ბიუჯეტი (ათას ლარებში)
დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ინსულინისა და მისი ანალოგების შესყიდვა	3 600,0
დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ინსულინის, გლუკაგონისა და დამხმარე სამედიცინო საშუალებების შესყიდვაბავშვთა (18 წლამდე) და მოზარდთა(25 წლამდე)	450,0
ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტინჰიპობიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა	1000,0
უზრუნველყოფა	ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებისა და საშუალებების შესყიდვა;	570,0
ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ნარკოტიკული საშუალებების გაცემის დამადასტურებელი ცნობისა და რეცეპტის ფორმა #1-ის შესყიდვა.	1 020,0
ორგანოგდანერგითა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	იმუნოსუპრესული მედიკამენტების შესყიდვა	20,0
	ადიურეზული ჰორმონის შესყიდვა	270,0
უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ანტირაბიული ვაქცინისა და	1 500,0
ანტირაბიული სამკურნალო საშუ-	იმუნოგლობულინის შესყიდვა	300,0

საეციფიური მედიკამენტების უსრუნველყოფა	სამკურნალო საკვები დანამატის შესყიდვა	100,0
სოციალური სამკურნალო საშუალებათა განზაჟების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა	600,0
	É სამკურნალო საშუალებების მათ შორის საკვები დანამატების მიღება შენახვარტრანსპორტირება-გაცემა სამკურნალოპროფილაქტიკურ დაწესებულებებზე (მათ შორის კონტრაქტორი ბაზის ქვეკონტრაქტორ აფთიაქებზე) ფარმაცევტული ბაზის მომსახურების მეშვეობით;	165,7
სულ		9 595,7

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. შესყიდვა ხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. მოსარგებლებისათვის მედიკამენტების და საკვები დანამატის მიწოდება ხორციელდება პოლისების საშუალებით.

ა) ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ადმინისტრაციულ ასიგნებათა ფარგლებში, უზრუნველყოფს აღრიცხვაზე მყოფი პაციენტებისათვის ინდივიდუალური პოლისების ბეჭდვასა და დარიგებას;

ბ) პოლისის ფორმას, ხელშეკრულებებისა და სატენდერო პირობებს განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

გ) მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა და პოლისების დარიგება ხორციელდება თანდართული წესის შესაბამისად. (დანართი 91)

დანართი 91

მოსარგებლეთა აღიციხვაზე აყვანის, პოლისის შევსებისა და გაცემის წესი

სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველ-
შამის” მოსარგებლეთა აღრიცხვაზე აყვანა
ხორციელდება შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:

- ა) დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ბ) დიაბეტიან ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- გ) ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- დ) ორგანოგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ე) უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ვ) ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- ზ) მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი.

2. აღრიცხვაზე აყვანისათვის პაციენტმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა (ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე) ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ა) შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №IV-100/ა, რომელშიც დადასტურებული იქნება შესაბამისი დიაგნოზი;
- ბ) პირადობის/ბინადრობის მოწმობის დედანი და ასლი;
- გ) ბავშვების აღიცხვისას, ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი და ასლი (ასევე აუცილებელია ბავშვის მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის დედანი და ასლი, მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/ასლი).

დ) 2 ფოტოსურათი

3. პოლისი მოწმდება სააგენტოს ბეჭდით.

4. პოლისის ერთი ნაწილი გადაეცემა პაციენტს, ხოლო მეორე იდენტური ნაწილი რჩება სააგენტოში.

5. პოლისის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი სპეცი ფიკური მედიკამენტები და საკვები დანამატი სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ შესაბამის დაწესებულებებში.

6. შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა პოლისის მფლობელი დამატებით უფლებამოსილია, მიიღოს კუთვნილი დახმარება ”შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში.



*Your complimentary
use period has ended.
Thank you for using
PDF Complete.*

[Click Here to upgrade to
Unlimited Pages and Expanded Features](#)

დებულთა პოლისის მფლობელი დამატებით
უთვნილი დახმარება "ჰემოფილით დაავა-
დებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის"
ფარგლებში.